ბავშვებისთვის

როგორ დავიცვა ჩემი უფლებები სკოლაში[1]

შედგენილია: ანა არგანაშვილის მიერ

დოკუმენტი "საკითხავი ბავშვებისთვის" მომზადდა "პარტნიორობა ადამიანის უფლებების - PHR" მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ მიმდინარე USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე რულად პასუხისმგებელია "პარტნიორობა ადამიანის უფლებების - PHR" და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

[1] გამოყენებული ნახატები შერჩეულია შემდეგი პუბლიკაციებიდან FRA Child-Friendly Justice

აქ წაიკითხავ:



რომელი უფლებები შეგიძლია
დაიცვა სკოლაში

როგორ მიმართო სკოლის
უფლებადაცვით ორგანოებს

როგორ მიმართო სასამართლოს

როგორ იპოვო უფასო ადვოკატი

სკოლა

სკოლა ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია; სკოლაში, გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება დაირღვეს ბავშვის შემდეგი უფლებები:

- განათლების უფლება;
- თანასწორად მოპყრობის უფლება.
- სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება.
- უსაფრთხოების უფლება.
- ღირსეულად მოპყრობის უფლება და სხვა.

სკოლის დისციპლინური კომიტეტი

თუ თვლი, რომ სკოლაში დაირღვა შენი უფლება, პირველ რიში შეგიძლია მიმართო დისციპლინურ კომიტეტს.

დისციპლინური კომიტეტი არის სკოლის შინაგანაწესის დარღვევების

განსახილველად შექმნილი ორგანო.

დისციპლინური კომიტეტისთვის მიმართვისთვის:

1. დაწერე ფურცელზე შენი რომელი უფლება დაირღვა და რატომ ფიქრობ ასე. ამ წერილს ჰქვია „განცხადება“! თუ არ იცი, რომელი უფლება დაირღვა, უბრალოდ აღწერე რა მოხდა.
2. შენი განცხადება ჩააბარე სკოლის ადმინისტრატორს და მოითხოვე ამ განცხადების რეგისტრაციის ნომერი იმავე დღეს.
3. დაელოდე დისციპლინური კომიტეტის შეკრებას. აქ შენ მოგისმენენ და შეძლებ მოყვე დარღვეული უფლების შესახებ.

4. ჩაიბარე დისციპლინური კომიტეტის წერილობითი გადაწყვეტილება.



თუ ფიქრობ, რომ დისციპლინურმა კომიტეტმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, შენ შეგიძლია წახვიდე სასამართლოში.

სასამართლო

სასამართლოში წასვლა ნიშნავს:

1. სასამართლო სარჩელის შევსებას.
2. სასამართლო სხდომაზე დასწრებას და შენი აზრის გაზიარებას მოსამართლისთვის.

სარჩელი არის სპეციალური ფორმა, რომელსაც იღებს სასამართლო.

ბავშვისთვის ადვილი ენით დაწერილი ფორმა, შეგიძლია ჩამოტვირთო და შიგნით

ჩაწერო, შენ ენაზე, რაც გაწუხებს. დააჭირე ლურჯ ტექსტს და გადმოწერე ფორმა:

ბავშვზე მორგებული სარჩელის ფორმა



შევსებული ფორმა შეგიძლია ჩააბარო სასამართლოს კანცელარიას, რომელიც მუშაობს 09.30-დან 18.00-მდე. შევსებული ფორმა შეგიძლია ასევე გამოაგზავნო შესაბამისი სასამართლოს ელექტრონულ გვერდზე, რომელსაც იპოვი აქ

არ დაგავიწყდეს, ფორმაში ჩაწერო, როგორ დაგიკავშირდეს შენ სასამართლო!

ამის შემდეგ, შენ დაგიკავშირდება მოსამართლის თანაშემწე და გეტყვის, როდის ჩაინიშნა სასამართლოს სხდომა.

პირველი, რაც მოსამართლის -თანაშემწემ უნდა შემოგთავაზოს, როდესაც დაგირეკავს, **არის უფასო ადვოკატი**:

გახსოვდეს: ყველა ბავშვს ეკუთვნის უფასო ადვოკატი, რომელსაც სასამართლო გამოუყოფს „სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის“ სამსახურიდან.

სასამართლოსთვის მიმართვამდე, თავადაც შეგიძლია მოითხოვო უფასო ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან აქ

შენ, ასევე შეგიძლია, უარი თქვა უფასო ადვოკატზე და, სხვა, შენი ადვოკატის ყოლის უფლება მოითხოვო.

დანიშვნიდან, ძალიან მალე, ადვოკატი უნდა შეგხვდეს და ყურადღებით მოგისმინოს.



ადვოკატმა შენთან ზუსტად ისე უნდა იმუშაოს, როგორც ზრდასრულ ადამიანთან იმუშავებდა, ეს ნიშნავს:

- შეგვითანხმოს სასამართლო საქმის სტრატეგია.
- შენი თანხმობით გააკეთოს ან არ გააკეთოს რამე ამ საქმესთან დაკავშირებით.
- გიპასუხოს ყველა კითხვაზე, რაც ადვოკატთან ან სასამართლოსთან დაკავშირებით გაგიჩნდება.

მალე ჩაინიშნება სასამართლო სხდომა:

სასამართლო სხდომა

ძალიან მნიშვნელოვანია დაიმახსოვრო, რომ სკოლისგან უფლებების დაცვა არის ე.წ. ადმინისტრაციული დავა, ამიტომ შენ, როგორც მოქალაქეს გაქვს

დამატებითი უფლებების სასამართლოში:

1. შეგიძლია მოითხოვო - მოსამართლე დაგეხმაროს სარჩელის გაუმჯობესებაში.
2. შეგიძლია მოითხოვო- მოსამართლემ სკოლისგან მოითხოვოს ის მტკიცებულებები რაც შენ ვერ მოიპოვე.

3. შეგიძლია მოსამართლეს თხოვო დაიბაროს ის მოწმეები, რომელიც შენს ნათქვამს დაადასტურებენ.
4. შეგიძლია სასამართლო სხდომის დროს მოსამართლეს უთხრა:

- პატივცემულო მოსამართლევ, არ მესმის რაც თქვით, რადგან რთული სიტყვებით იყო და იქნებ ამიხსნათ.



სასამართლო პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. მოსამზადებელი სხდომა:
   -აქ მოსამართლეს ეტყვი რა უფლებები დაირღვა და რა მტკიცებულებები გაქვს ამის დასადასტურებლად).
2. მთავარი სხდომა:

- შენც და სკოლის წარმომადგენელიც მოყვებით რაც მოხდა (ახსნა-განმარტება).
- დაუსვამთ ერთმანეთს კითხვებს (კითხვების ეტაპი).
- გამოკითხავთ მოწმეებს (მოწმეების გამოკითხვა).
- თუ საჭიროა, შეისწავლით მოსამართლესთან ერთად რა წერია მტკიცებულებებში (მტკიცებულებების გამოკვლევა).
- იტყვით შემაჯამებელ სიტყვას.

- მოსამართლე გამოგიცხადებთ გადაწყვეტილებას.
- სასამართლო პროცესი შესაძლოა რამდენჯერმე, სხვა დროისთვის გადაიდოს და გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს გარკვეული დრო დაჭირდეს.

გახსოვდეს, შენ გაქვს უფლება:

- ყოველთვის ესაუბრო და დაუსვა ნებისმიერი კითხვები შენს ადვოკატს.
- ყოველთვის თქვა თუ სასამართლოზე თავი დამცირებულად ან უხერხულად იგრძენი და მოსამართლეს სთხოვო დაიცვას შენი უფლება.
- დასვა ის შეკითხვები, რაც გაგიჩნდება.
- **თუ არ დაეთანხმები სასამართლოს**

გადაწყვეტილებას, გაასაჩივრო ის. საზოგადოებამ, მშობლებმა და ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ ყოველთვის მხარი უნდა დაუჭიროს ბავშვს, მომავალ მოქალაქეს, რომელიც ბავშვობიდან იცავს თავის უფლებებს.